თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 936

" 20 " 09 2012

**ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, მდინარე ვერეს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე, თამარაშვილის ქუჩის აღმოსავლეთით არსებული ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი პერსპექტიული განვითარების კონცეფციის პროექტის (ჩარჩო გეგმის) კონკურსის მეშვეობით შესყიდვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების და „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „ვ", „ლ" და „ფ" ქვეპუნქტების თანახმად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, მდინარე ვერეს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე, თამარაშვილის ქუჩის აღმოსავლეთით არსებული ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი პერსპექტიული განვითარების კონცეფციის პროექტის (ჩარჩო გეგმის) შესარჩევად დამტკიცდეს საკონკურსო პირობები №1 დანართის შესაბამისად;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) გიორგი გოგოლაშვილი (კომისიის თავმჯდომარე)
   ბ) ირაკლი მურღულია (კომისიის წევრი)
   გ) ნინო გვენცაძე (კომისიის წევრი)
   დ) კახა ნიაური (კომისიის წევრი)
   ე) პაპუნა ძიძიგური (კომისიის წევრი)

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარბავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22 ფაქს. (+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ვ) თამარ კაციტაძე (კომისიის წევრი)
ზ) ივანე ჩოხელი (კომისიის წევრი)

3. კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ამავე ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის შესაბამისად;

3. კომისის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა განახორციელოს აპარატმა შემდეგი შემადგენლობით :

ა) არმაზ ხუციბერიძე – კომისიის მდივანი;

ბ) ნესტან ადვაძე;

გ) ეკა კანდელაკი;

დ) გიორგი ქიტესაშვილი;

ე) ფიქრია კვერნაძე;

ვ) ნანა ჭრელაშვილი.

3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში

**სამსახურის უფროსი** **არისი ბოჭოიძე**

**დანართი №1**

**ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, მდინარე ვერეს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე, თამარაშვილის ქუჩის აღმოსავლეთით არსებული ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი პერსპექტიული განვითარების კონცეფციის პროექტის (ჩარჩო გეგმის) შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის წესი და პირობები**

## I ზოგადი ნაწილი

1. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზანია კონცეფციის (ჩარჩო გეგმის) დონეზე საპროექტო ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი პერსპექტიული განვითარების განსაზღვრა;

2. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ამოცანაა გამოავლინოს საპროექტო ტერიტორიის სივრცით-გეგმარებითი მოწყობის საუკეთესო კონცეფცია, რაც შემდგომ ეტაპზე საფუძვლად დაედება განაშენიანების რეგულირების გეგმის ან გეგმების დამუშავებას;

3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს და გამარჯვებულს ღია კონკურსის ფორმით გამოავლინოს საკონკურსო კომისია.

4. საკონკურსო განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განთავსება მოხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge;

5. საკონკურსო წინადადების წარმოდგენისთვის კონკურსში მონაწილე პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე იხდის საფასურს 50 ლარის ოდენობით. ანგარიშის ნომერი მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge).

## II საკონკურსო პირობები

1. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდინარე ვერეს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე, თამარაშვილის ქუჩის აღმოსავლეთით.

2. მოცულობით-სივრცითი გადაწყვეტისათვის საპროექტო არეალს შემოფარგლავს ჩრდილოეთით: "იყალთოს" დაუსახლებელი ქედი; სამხრეთით: წყნეთის ქუჩის მიმდებარე განაშენიანება; აღმოსავლეთით: ყიფშიძის ქუჩის მიმდებარე განაშენიანება; დასავლეთით: თამარაშვილის ქუჩა;

3. ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო ტერიტორია ამჟამად წარმოადგენს საცხოვრებელ ზონა 6-ს (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2);

4. ტერიტორიის სივრცითი-მოცულობით გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნას:

ა) წყნეთის ქუჩის მიმდებარე მრავალსართულიანი განაშენიანება;

ბ) დაბალსართულიანი, ბარაკული განაშენიანების სრული დემონტაჟი;

5. შენარჩუნდეს და მაქსიმალურად გაძლიერდეს მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიის რეკრეაციული ფუნქცია და მასთან ორგანული კავშირი;

6. ძირითადი და უშუალო სატრანსპორტო კავშირებით საპროექტო ტერიტორია დაუკავშირდეს ახალი მაგისტრალის თამარაშვილის ქუჩა – გმირთა მოედნის მიმართულებას, ხოლო ჭავჭავაძის გამზირთან შეინარჩუნოს მინიმალური კავშირები;

7. გზისა და განაშენიანების სტრუქტურის დაგეგმარებისას ბარაკული განაშენიანების ტერიტორიაზე არსებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრები ნაკლებად იქნას გათვალისწინებული;

8. ადგილობრივი ბარაკული განაშენიანების მოსახლეობის სოციალური საბინაო ფონდისათვის გასათვალისწინებელია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები 15000 (თხუთმეტი ათასი) კვ.მ საცხოვრებელი ფართით;

9. ძირითადი საცხოვრებელი განაშენიანება უნდა განვითარდეს საცხოვრებელი ზონა 4-ის (სზ-4) ფარგლებში;

8. კონკურსში მონაწილე პირებს როგორც თანდართული მასალების სახით ასევე ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე – tas.ge-ზე შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა, საზღვრის ჩვენებით;
- საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური გეგმა, მასშტაბი 1:2000;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გეგმა;
- საპროექტო ტერიტორიის პანორამული ფოტოები;
- საპროექტო ტერიტორიის გეგმა, არსებული და სამსახურის მიერ შეთანხმებული ობიექტების ჩვენებით. მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და ვიზუალი შესაძლოა იხილოთ სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზე;
- საპროექტო ტერიტორიის საზღვრის და რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ვექტორული shp ფაილები.

## II განაცხადი

1. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული ფორმით.

2. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:

ა) განმარტებითი ბარათი;

ბ) სიტუაციური გეგმა, მასშტაბით 1:5000

გ) განაშენიანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (პუნქტ 4-ში მითითებული განაშენიანების გათვალისწინებით);

დ) სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა (ნიშნულების ჩვენებით), მასშტაბი 1:2000;

ე) საპროექტო ტერიტორიის სივრცითი მოწყობის კონცეფცია (ძირითადი ნახაზი, ნიშნულებით), მასშტაბი 1:500;

ვ) საპროექტო ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტის განშლები და ჭრილები, მასშტაბი 1:500

ზ) ავტოტრანსპორტის მოძრაობის და პარკირების, ქვეითთა მოძრაობის სქემა, მასშტაბი 1:500;

თ) მიწისქვეშა სივრცის გამოყენების გეგმა, მასშტაბი 1:500;

ი) ფოტომონტაჟები თანდართული პანორამული ხედებიდან და სხვა შესაძლებელი ხედვის წერტილებიდან;

აღნიშნული ინფორმაცია აწყობილი უნდა იქნას ერთი pdf ფაილის სახით, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100 mb-ს.

კ) ტერიტორიის სივრცითი მოწყობის ციფრული მაკეტირება, ვიდეო ფაილის სახით, დაარქივებული zip ან rar გაფართოებით, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100 mb-ს.

3. საკონკურსო განაცხადი ატვირთული უნდა იქნას ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge

4. კონკურსში გამარჯვებული კონცეფციის ავტორი, კომისიის მიერ ოქმში განსაზღვრული მიმართულებების, შენიშვნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, ინარჩუნებს საავტორო უფლებას განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებაზე.

5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე განაცხადი რეგისტრირებულად ჩაითვლება წინადადების წარდგენისათვის დაწესებული საფასურის გადახდისა უნიკალური ნომრის მინიჭების შემდგომ.

## III კონკურსის მეშვეობის საპროექტო მომსახურების შესყიდვის ვადები (კალენდარი)

| | ღონისძიება | დედლაინი |
|---|---|---|
| 1 | განაცხადების მიღება-რეგისტრაცია | კონკურსის გამოცხადებიდან ორი თვის ვადაში |
| 2 | განაცხადების განხილვა | განაცხადების მიღების დასრულებიდან ერთი თვის ვადაში |
| 3 | შედეგების გამოცხადება | განაცხადების განხილვის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში |
| 4 | ხელშეკრულების გაფორმება | არაუგვიანეს შედეგების გამოქვეყნებიდან 10 სამუშაო დღისა |

## IV შესყიდვის შედეგები

1. კომისია კონკურსში მონაწილეთაგან გამოავლენს 1 (ერთ) გამარჯვებულს, რომელთანაც შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას.

2. გამარჯვებული კონცეფციის (ჩარჩო გეგმის) შესყიდვის ფასი შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს;

3. კონკურსის მეშვეობით შესყიდვა ითვლება ჩაშლილად თუ:

ა) არ იქნა წარმოდგენილი ორი განაცხადი მაინც;

ბ) საკონკურსო კომისია არ მოიწონებს არც ერთ წარმოდგენილ კონცეფციას.

**სამსახურის უფროსი** **არისი ბოჭოიძე**